იმ კურსის დაწყება, რომლის მიზანიცაა, შევიდეთ აზროვნებაში პლატონის ფიგურით, არის ლოგიკური, ოღონდ ერთი პირობით, თუ ეს აზროვნება ევროპული აზროვნებაა.
საქმე ის არის, რომ არსებობს აზროვნების სხვადასხვა ტრადიციები, მაგალითად: ინდური, ჩინური... რომელთა შიგნითაც, ცხადია, პლატონს, როგორც ძველ ბერძენ მოაზროვნეს, არ აქვს კლასიკოსის სტატუსი, მაგრამ ჩვენ ვისწავლით ევროპული აზროვნების ისტორიას და ამიტომაც ძალიან ლოგიკურია ამ აზროვნების ისტორიის დაწყება პლატონიდან. ეს არ ნიშნავს, ცხადია, იმას, რომ პლატონამდე ევროპულ აზროვნებას დიდი და გამოჩენილი ფიგურები არ ჰყოლია; მეტიც, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ საუკუნეში, როცა პლატონი დაიბადა (ძვ. წ. V საუკუნე) და იმ სივრცეში, სადაც ის დაიბადა (ათენი), იყო გარკვეული აზრით ამოფრქვევა კულტურული ენერგიისა, რომელსაც ძალიან იშვიათად, რომ ჰქონდეს ანალოგი კაცობრიობის ისტორიაში. ეს იყო საუკუნე, როდესაც იზიარებდნენ ერთმანეთთან, მაგალითად, დრამატურგები: ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, არისტოფანე; ფილოსოფოსები: პარმენიდე და ჰერაკლიტე; ყველა გამორჩეული და გამოჩენილი სოფისტი, სოკრატე, პლატონი, ისტორიკოსები: თუკიდიდე და ჰეროდოტე და ა.შ. ძალიან იშვიათია კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც ამდენი გენიოსი ერთ ძალიან ვიწრო სივრცეში და დროის საკმაოდ შეზღუდულ მონაკვეთში გამოჩენილიყოს.
პლატონთან ხდება კრისტალიზაცია ძალიან ბევრი იმ ფილოსოფიური, კულტურული, სააზროვნო ტენდენციისა, რომელიც ახასიათებდა ძველ ბერძნულ კულტურას და ბევრად უფრო ადვილია, პლატონიდან დავიწყოთ და თუნდაც მისი წინამორბედები გავიგოთ, ვიდრე დავიწყოთ ქრონოლოგიურად პირველი ავტორიდან და ნელ-ნელა, ფრაგმენტ-ფრაგმენტ მოვიდეთ პლატონამდე.
საერთოდ, აზროვნების ისტორიის შესწავლას ერთი სპეციფიკა აქვს: ჩვენ ვერ ვიტყვით უარს კონკრეტულ ტექსტებზე, რომლებშიც ეს ისტორიაა განსხეულებული. მაგალითად, ჩვენ რომ გვინდოდეს მეცნიერების ისტორიის შესწავლა, ჩვენ შეგვეძლო არ მიგვექცია ყურადღება იმ ტექსტებისათვის, რომლებშიც გარკვეული მეცნიერული აღმოჩენები არის დაფიქსირებული. მაგალითად, ნიუტონის კანონების შესასწავლად ჩვენ არ გვჭირდება ნიუტონისავე ტექსტებისა და წიგნების წაკითხვა. საკმარისია, წავიკითხოთ ფიზიკის სახელმძღვანელო და ჩვენ სრულად და სრულყოფილად გავიგებთ, თუ რაში მდგომარეობს ნიუტონის აღმოჩენის მნიშვნელობა. ასე არ არის იმ ავტორებთან და იმ ტექსტებთან მიმართებაში, რომლებსაც ჩვენ ამ კურსის განმავლობაში გავივლით და რომლებიც იწყება პლატონით. ჩვენ პლატონის ტექსტის წაკითხვას ვერ შეგვიცვლის ვერაფერი - ვერც ენციკლოპედია, ვერც სახელმძღვანელო, ვერც ვიკიპედიის გვერდი. აუცილებელია, თვითონ ტექსტი განვიხილოთ და აუცილებელია, თვითონ ტექსტს ჩავუღრმავდეთ, იმიტომ, რომ მხოლოდ ამ ტექსტის გავლით ხდება აზროვნების შესწავლა. ტექსტის შინაარსის გადმოცემით ნამდვილ აზროვნებას ვერ ისწავლი.
ახლა რაც შეეხება თავად პლატონს: მოკლე ბიოგრაფიულ დახასიათებას მივცემ მას იმისათვის, რომ შემდეგ უფრო ადვილი იყოს მისი ფილოსოფიის გაგება.
პლატონი დაიბადა V საუკუნეში, ათენში, როგორც უკვე ვთქვით, მდიდარ არისტოკრატიულ ოჯახში და, პრინციპში, ალბათ მისი ცხოვრება წავიდოდა იმ მიმართულებით, რომლითაც იმ

პერიოდის არისტოკრატის ცხოვრება წავიდოდა - ნიჭიერის, იმედის მომცემის... ეს იქნებოდა, სავარაუდოდ, საჯარო მოღვაწეობა და პოლიტიკა, მხედარმთავრობაც შესაძლებელია; მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცაც მოხდა პლატონის ცხოვრებაში. ეს იყო შეხვედრა დიდ ძველბერძენ ფილოსოფოსთან, სოკრატესთან. პლატონი, სხვათა შორის, ერთადერთი არ იყო, ვისთვისაც სოკრატე აღმოჩნდა მასწავლებელი და მოძღვარი, შეიძლება ასე ითქვას. სოკრატეს ირგვლივ ძალიან ბევრი იმდროინდელი ათენელი ახალგაზრდა იკრიბებოდა და საინტერესო სოკრატეს შემთხვევაში იყო ის, რომ განსხვავებით სხვა ფილოსოფოსებისაგან, ეს იყო ადამიანი, რომელიც არ წერდა. მას ჰქონდა თავისი ფილოსოფია, მაგრამ ის არ წერდა, არ აფიქსირებდა ამ ფილოსოფიას ტექსტუალური ფორმით, არამედ ის იყო დაკავებული იმით, რომ იდგა დღის განმავლობაში ხალხის შეკრების ადგილას, იქნებოდა ეს მოედანი, ბაზარი, სპორტული სივრცე (რომლებსაც გიმნასიებს ეძახდნენ იმ დროს) და ესაუბრებოდა ადამიანებს.
სხვათა შორის, ძალიან საინტერესო იყოს ის, რომ სოკრატემ თავიდანვე თქვა, რომ მას არ აინტერესებდა ბუნების სამყარო და ამით გაემიჯნა თავის წინამორბედებს, რომლებსაც აინტერესებდათ სწორედ სამყაროს საწყისი, სამყაროს მთავარი პრინციპი, სამყაროს დასაბამისეული ელემენტი. სოკრატემ თქვა, რომ ბუნება მას არაფერს არ ასწავლის, ამიტომ რაც მას უნდა, ეს არის ადამიანებთან ურთიერთობა, რათა შეიმეცნოს რაღაც ახალი, და რასაც აკეთებდა სოკრატე, იყო ძალიან უცნაური მეთოდი ამ სწავლებისა. საქმე ის არის, რომ სოკრატე არავის პირდაპირ არ ასწავლიდა. პირიქით, მისი მიდგომა მდგომარეობდა იმაში, რომ ის ყველას ეკითხებოდა იმ სფეროს შესახებ, რომელშიც მისი მოპასუხე ექსპერტი უნდა ყოფილიყო. მაგალითად, პოეტს ის შეეკითხებოდა იმის შესახებ, თუ რა არის პოეზია; სასამართლო საქმეებში გარკვეულ ადამიანს შეეკითხებოდა იმას, თუ რა არის სამართლიანობა; პოლიტიკოსს შეეკითხებოდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმართოს სახელმწიფო და ა.შ. მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო ის, რომ სოკრატემ აღმოაჩინა - და ეს აღმოჩენა ხდებოდა არა პრივატულ სივრცეში, არამედ ყველას თვალწინ, მათ შორის იმ ახალგაზრდების თვალწინ, რომლებიც სოკრატეს დაჰყვებოდნენ, როგორც მასწავლებელს - რომ ამ ადამიანებმა, ვისაც, წესით, ექსპერტული ცოდნა უნდა ჰქონოდათ ამა თუ იმ სფეროსი, სინამდვილეში, არ იცოდნენ, რა იყო ამ სფეროს მთავარი ელემენტების და მთავარი ფაქტორების თუ მთავარი განმსაზღვრელი მომენტების არსი. მაგალითად, პოეტს არ შეეძლო, აეხსნა, რა არის პოეზია, ანდა ადამიანს, რომელიც მუდმივად იყო ჩართული სასამართლო დავებში, არ შეეძლო აეხსნა, რა არის სამართლიანობა და ა.შ.
ამას ორი შედეგი მოჰყვა. პირველი შედეგი ძალიან ცუდი იყო სოკრატესთვის. პოლიტიკური არეულობის დროს სოკრატეს დააბრალეს, რომ მას შემოჰყავდა ახალი ღმერთები ქალაქ-სახელმწიფოში და დააბრალეს, რომ ის რყვნიდა ახალგაზრდობას და, მიუხედავად იმისა, რომ მან ბრწყინვალედ შეძლო თავისი თავის დაცვა, ამ დაცვამ არ იმუშავა - მას გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი და დასაჯეს სიკვდილით.
ეს იყო ერთი შედეგი, რომელმაც ძალიან დიდი გავლენა მოახდინა პლატონზე, პირველ რიგში, ალბათ იმიტომ, რომ პლატონმა უარი თქვა პრაქტიკულ ცხოვრებაში მოღვაწეობაზე, ანუ უარი თქვა პოლიტიკის სფეროში მოღვაწეობაზე, უარი თქვა საჯარო სფეროში

მოღვაწეობაზე და ის მთლიანად მიუბრუნდა ფილოსოფიას და მეცნიერებას. გარდა ამისა, როგორც ჩანს, სოკრატეს სიკვდილით დასჯის გამო, პლატონში დაიბუდა დემოკრატიისადმი საოცარმა სკეპტიციზმმა, იმიტომ, რომ სოკრატე დასაჯეს სიკვდილით სწორედ დემოკრატიულ ათენში. ამას ჰქონდა, რასაკვირველია, თავისი პოლიტიკური ინტრიგების განზომილებაც, მაგრამ მთავარი მომენტი აქ ის იყო, რომ დემოკრატიულ ათენში გადაწყვეტილება სიკვდილის დასჯის შესახებ ასევე მიიღებოდა დემოკრატიულად. შესაბამისად, პლატონისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელსაც შეეძლო ისეთი ფილოსოფოსი, როგორიც სოკრატე იყო, სიკვდილით დაესაჯა.